პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 43 (12859) | ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის ორგანული ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერმა თანამშრომლებმა პროფესორ რამაზ ლაღიძის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს პოლიციკლური ნახშირწყალბადების სინთეზის ახალი მეთოდი.

ხუთათზე: მეცნიერი თანამშრომლები (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. აბესაძე, შ. კუპრავა და ნ. ირემაძე თვალს ადევნებენ პოლიციკლური ნახშირწყალბადების სინთეზის პროცესს.

ფოტო ს. ლეჟავასი.

სოფლის მშრომელთა დიდი ღირსების საქმე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში, ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში დასმულია ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებსაც დღის წესრიგში აყენებენ პარტია, ხალხი, თვით ცხოვრება.

„დარწმუნებული ვართ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე, — რომ კარტიის ყველა წევრი, ყველა კომკავშირელი, პროფკავშირული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ხალხი ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმების გადაწყვეტილებებს მიიჩნევენ საბრძოლო პროგრამად კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში“. ჯეშმარიტად გრანდიოზული ამოცანები დაუსახეს სოფლის მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა. ამ ამოცანების შესრულება მთელი საბჭოთა ხალხის ღირსების საქმეა.

ახლა ვეღარ შევურიგდებდით ისეთ ამბავს, როცა ერთ და იმავე ბუნებრივ პირობებში ერთ საზოგადოებრივ მეურნეობას მოჰყავდეს მაღალი მოსავალი, ხოლო მისი მეზობელი ჩამორჩებოდეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, მიწას აცდენდეს. ახლა საქმე იხება მიწათმოქმედებისა და მიცხოველეობის გადაყვანას ინტენსიფიკაციის რელსებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავამაღლოთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მოვიყვანოთ მეტი მარცვალი და სხვა პროდუქტები ყოველ ჰექტარ სახნავზე, გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება ას ჰექტარ მიწაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამ პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის ხიტყვას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი მოწონებითა და შრომითი შემართებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელებიც.

გასულ წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა, გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, ჩაის მწვანე ფოთლის, დაფნისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. საილუსტროდ ისიც კმარა, რომ მემინდვრეებმა და მეჩაიეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება დაიმახსოვრეს. მაგრამ მოწეულზე შეჩერება ჩვენს ხალხს ხომ არ სჩვევია. შვიდწლედის მეექვსე წელს უფრო მეტია საჭირო.

მომდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა სამშობლოს უნდა მისცენ: 175 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 130 ათასი ტონა ხილი, 215 ათასი ტონა ყურძენი, 18 ათასი ტონა თამბაქო, 55 ათასი ტონა ხორცი, 150 ათასი ტონა რძე, 85 მილიონი ცალი კვერცხი, 90 ათასი ტონა ბოსტნეული და სხვ. მარცვლეული კულტურების მოსავალი გადიდდება 900 ათას ტონამდე. ეს გათვალისწინებულია მომდინარე წლის გეგმით, ხოლო ვალდებულებით — უფრო მეტი. როგორც ვხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები შვიდწლედის მეექვსე წელს მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. აი სწორედ ახლა გვმართებს დაგრაზმოთ მეცნიერული ძალები, მთელი ენერგიით ვიშრომოთ იმისათვის, რომ მომდინარე წელი გადავჭიოთ ინტენსიფიკაციის წლად. რაც საშუალებას მოგვცემს მეტი ვაწარმოოთ პროდუქტები და საპატიო წ�eli შევიტანოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიად მიზნდასახულობათა განხორციელების საქმეში.

ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გულგარეთის ერთობლივ განცხადებას

19 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივ განცხადებას.

განცხადებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა.

ხელმოწერის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ტოდორ ჟივკოვმა მაგრად, ძმურად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. (საკდესი).

დარბაზობა ბულგარეთის საელჩოში

ბულგარეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში სტოიან კარაჯოვმა 19 თებერვალს დარბაზობა გამართა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პატრიოტიზმის დღესასწაულად.

დარბაზობაზე იყვნენ დელეგაციის წევრები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირ-ს მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. (საკდესი).

გულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა

მოსკოვი. 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა თავრობის მოწვევით.

კიევის ვოგზალში, რომელიც მორთული იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გაეცალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა. ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, ვ. ვ. გრიშინმა, ლ. ნ. ეფრემოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირში ბულგარეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

ვოგზლის პერონზე ჩამწკრივებული იყო მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული, შესრულდა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ტოდორ ჟივკოვმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ დაათვალიერეს ტ. გ. შევჩენკოს ძეგლის პროექტი

გენიალური უკრაინელი პოეტის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში დაიდგმება დიდი კობზრის ძეგლი. მონუმენტი კეთდება მოქანდაკეების მ. გრიცაიუკის, ი. სინკევიჩის, ა. ფუფენკოს, არქიტექტორების ა. სნიკარევის და ი. ჩეკანოუკის პროექტით.

19 თებერვალს ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი იყვნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოქანდაკეობის საამქროში, სადაც დადგმულია მონუმენტის მოდელები, და დაათვალიერეს ეს მოდელები. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ ძეგლის ავტორები და კონსულტანტი არქიტექტორი ნ. ჯ. ივანჩენკო.

მონუმენტის პროექტს დადებითი შეფასება მისცეს.

ამას გარდა მათ დაათვალიერეს საამქროში დადგმული მოდელი ძეგლისა „ჟანეყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ (ავტორები არიან მოქანდაკე ვ. ბოგდანოვი და არქიტექტორები ი. ლაპინი და მ. ვოლკოვი). ეს ძეგლი გათვალისწინებულია დაიდგას ქალაქ ოდესაში.

დათვალიერებას დაესწრნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი, ქალაქ მოსკოვის მთავარი არქიტექტორი მ. ვ. პოსოხინი. უცხოელნი სსრ მინისტრთა საბჭოს მოღვაწე წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ი. ი. დუდინი და სხვები.

პროექტების დათვალიერების შემდეგ გაიმართა საუბარი მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელებთან ტრანსპორტის განვითარებისა და სრულყოფის შესახებ. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა მთელი რიგი წინადადებანი. რომ მონორელსიანი გზები აშენდეს მოსკოვში. ყირიმსა და კავკასიაში — სოჭის, გაგრის, სოხუმისა და რიწის ტბის რაიონში. (საკდესი).

ჩვენი სტუმრები

მოსკოვს ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი

მოსკოვი, 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო დანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ჩამწკრივდა საპატიო ყარაული და შესრულდა დანიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

საპატიო სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი მეუღლითურთ და ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ნ. რუდნევი მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელების წარმომადგენლები.

შემხვედრთა შორის იყო დანიის ელჩი საბჭოთა კავშირში კრისტიან დ. ჰოლტენ-ეგერტი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და ენს ოტო კრაგმა წარმოთქვეს სიტყვები.

ოლიმპიელთა პატივსაცემად

მოსკოვი, 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მთავრობამ დარბაზობა გამართა IX ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების პატივსაცემად.

სტუმრები შეიკრიბნენ დარბაზობათა სახლში. მქუხარე ტაშით მიესალმნენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს.

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის გაფართოებარეკონსტრუქციის სამუშაოები გასულ წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა, მაგრამ საქმე სანარბიულოდ როდი მიდის.

დავიწყოთ იმით, რომ მთელი რიგი ობიექტები, რაც ჯერ კიდევ შარშან უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, დღემდე დაუთავრებელია. № 4 სამშენებლო ტრესტის № 9 სამმართველოს მშენებლები, რომლებიც ქარხანაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებენ, საქარხნო წყალსადენის აგებას თითქოს მორჩნენ და იგი გასული წლის ბოლოს ასამუშაებლად გამოსცადეს, მაგრამ იმის გამო, რომ უწესრიგო მდგომარეობაში აღმოჩნდა დამშენები ნაგებობანი და ფილტრები, წყალსადენის გაშვება ჯერაც ვერ მოახერხეს.

ასევე ჰიპოჩლორიდი თუთიის ნამწვის საწყობის მშენებლობა, რომელიც გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო, თუმცა ყველა საჭირო მოწყობილობა ადგილზეა. ნელი ტემპით მიმდინარეობს ბარიუმის საამქროს საკაზმე განყოფილების მშენებლობა. ამ ობიექტზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაგალება იანვარში მხოლოდ 75 პროცენტით არის შესრულებული.

ქარხნის ტერიტორიაზე რკინიგზის საშეკილმეტრიანი ჩიხის გასაყვანად დიდი სამუშაოები შესრულდა, 200 ათასი მანეთიდან უკვე დახარჯულია 189 ათასი მანეთი. მაგრამ ჩიხის საექსპლოატაციოდ გადაცემას აფერხებს ის, რომ საისრე გადამყვანების დამონტაჟებისათვის მშენებლებს არ გაეჩინათ „რ-43“ ტიპის 18 ტონა და „რ-50“ ტიპის 5 ტონა რელსი, რითაც ისინი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უნდა მოამარაგოს. ამის გამო, რომ საისრე გადამყვანების დამონტაჟება რეა თვის განმავლობაში ჭიანურდება.

რაბტოპისიტის საამქრო პირველი რიგის ასამუშავებელ ობიექტად არის მიჩნეული და იგი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

საქმე ის არის, რომ ალინიშნული საამქრო ჯერ კიდევ დაკომპლექტებული არ არის ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობით. დღემდე გამოყოფილი არ არის 7 დასახელების 13 ერთეული მოწყობილობა, ხოლო 26 დასახელების 27 ერთეული მოწყობილობა გამოყოფილია აბრილში. მაისში, ივნისსა და, ასე განსაჯეთ, სექტემბერშიც კი. ასე დაიწესა მოწყობილობის განრიგი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოწყობილობის კომპლექტაციის განყოფილებამ. სწორედ ამაზეა ნათქვამი, მარცხენამ არ იცის, რას აკეთებს მარჯვენაო.

ჭიანურდება თვით რაბტოპისიტის საამქროს კორპუსის მშენებლობა. შარშან მშენებლებმა სამუშაოთა დაგალება მხოლოდ 42 პროცენტით შეასრულეს, წელს იანვარში კი — 30 პროცენტით.

მშენებლებმა (უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გ. ქაროსანიძე) სამშენებლო მოსავლიანობა რომ გავადიდოთ, ამისათვის საჭიროა კარგად ვიცოდეთ აგროწესები, აგროქიმია. ყოველდღიურად ვიძენდეთ ცოდნას, ვეუფლებოდეთ მოწინავეთა გამოცდილებას და პრაქტიკულ საქმიანობაში ვიყენებდეთ მას. რესპუბლიკაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია სიღნაღელთა პატრიოტულმა თაოსნობამ აგროქიმიური სკოლების შექმნის შესახებ. სიღნაღელთა თაოსნობით ახლა რესპუბლიკაში სოფლის ათასობით მშრომელი ეუფლება აგროქიმიურ ცოდნას.

საზოგადოებრივი მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რწყვას. რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში წყალთა მეურნეობის მთელი რიგი მსხვილი ობიექტები აშენდა. დამთავრდა სიონის წყალსაცავის მშენებლობა, რომელიც წყალს აწვდის ზემო სამგორის სარწყავ სისტემას, მოეწყო თელეთის მიწების მექანიკური რწყვა. ქვემო სამგორის ველზე შენდება სარწყავი სისტემა, რომლითაც 50 ათასი ჰექტარი მოირწყვება. დაიწყო ზემო ალაზნის არხის პროექტის შედგენა. მისი მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება. ეს არხი 110 ათას ჰექტარ სახნავ მიწებს მოარწყავს და 50 ათას ჰექტარ ხაძოვრებს გააწყლიერებს.

თუ რა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს რწყვა, ეს ნათლად ჩანს სამგორის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მიღებული შედეგებიდან. აქ 40 ათასი ჰექტარი იარწყვება. მოეწყო ინტენსიური მეურნეობა. შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები. თუ მოარწყვამდე ჰექტარის შემოსავალი 15 მანეთს არ აღემატებოდა, სარწყავი მიწები ჰექტარზე საშუალოდ 2.400 მანეთს გვაძლევენ. აი რა შეუძლია ირიგაციას!

ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, გორის, ხაშურის, მცხეთის საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელებმა და არ დაუშვან ისეთი შეუნდობელი, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა სარწყავ არხებს შმელი სიმძლავრით ვერ იყენებს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება წარმოუდგენელია უტექნიკოდ, კომპლექსური მექანიზაციის დაუნერგავად. როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენს რესპუბლიკაში? უნდა ითქვას, რომ ბევრგან ტექნიკას კარგად იყენებენ და მაღალ ნაყოფიერებასაც აღწევენ, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხი ვერ მოიკიდა კომპლექსურმა მექანიზაციამ. თუ ხორბალი თოიმლის მთლიანად ხელით შრომის გამოუყენებლად მოგვყავს, ამას ვერ ვიტყვით სიმინდის, მზესუმზირას, ჭარხლის და სხვა კულტურების წარმოებაზე. ჩვენ საკმაოდ გვაქვს მანქანები ამ კულტურების წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის და იგი სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ. აციდელი ერთი ფაქტი: რატომ ფართოდ ვერ ენერგავთ კომპლექსურ მექანიზაციას მეჭარხლეობაში. რის მდგომარი გამოცდილებაც აქვს გორის რაიონის ზეიდულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორ გ. ცერცვაძეს? ამ საკითხზე ბევრი იწერება, მაგრამ მისი გამოცდილება სხვა რაიონებში ჯერ კიდევ არ ინერგება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა სუსტი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანის საქმეს. რესპუბლიკაში 1.412 კოლმეურნეობაა, აქედან დაახლოებით 700 კოლმეურნეობა მთიან ზონაშია, მათგან 394 ეკონომიურად სუსტია. ზუგდიდისა და გორის საწარმოო სამმართველოებმა ქმედითი ღონისძიებები დასახეს სუსტი კოლმეურნეობების ეკონომიკის ასამაღლებლად. მათი გამოცდილება სხვა საწარმოო სამმართველოებმაც უნდა გადაიღონ. ისეთი მდგომარეობა, როგორსაც ზნაურისა და სხვა მთიანი ზონის საწარმოო სამმართველოებში ვხედებით, უსწრაფესად უნდა აღმოიფხვრას. საქართველოს კპ XXII ყრილობაზე ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიექცა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში რესპუბლიკაში არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა.

საზოგადოებრივი მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლა დღეგანდელი დღის ამოცანაა. წელსვე უნდა გავადიდოთ მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა კულტურების მოსავალი, მივიღოთ მეტი ხორცი, რძე, სხვა პროდუქტები. ახლა, როცა საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე სულ ცოტა დრო დარჩა, თვითეული კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ყველა ღონისძიება უნდა განვახორციელოთ, რომ უსწრაფესად დავამთავროთ მზადება მინდვრის სამუშაოებისათვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ისისათვის, რომ სანამუშოდ დავამთავროთ თესვა, მტკიცე საფუძველი ჩაეყაროთ უხე მოსავალს.

სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია, მთელი პარტიის, ხალხის საქმეა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება დიდი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე.

ᲓᲐᲕᲘᲠᲧᲠᲝᲑᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲦᲣᲓᲔᲑᲡ

ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 90 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში დასახულია გზები, რომლებითაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე უნდა ამაღლდეს. ახლა საქმე ჩვენზე, სოფლის მეურნეობის მუშაკებზეა დამოკიდებული.

შარშან ჩემმა ბრიგადამ 60 ჰექტარი სიმინდის ნათესს საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერზე მეტი სიმინდის მარცვალი მოიყვანა. კიდევ უფრო ისახელეს თავი ცალკეულმა კოლმეურნეებმა. ზაქარია მირიანაშვილმა ერთ ჰექტარზე 105 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო. ეს საკმარისი არ არის. გადაწყვეტილი წელს მთელი ნათესი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 90 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ამ მიზნით ფართოდ დაინერგავენ ქიმიზაციას, კომპლექსურ მექანიზაციას და რწყვას.

მ. ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ.

ყვარლის საწარმოო სამმართველოს შელდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს ავარაოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. მწყობრში დგება მანქანა-იარაღები. სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორგანული და მინერალური სასუქების მინდვრად გატანა. მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის ველ-მინდვრები ჯერ კიდევ თოვლით არის დაფარული, ავრალელმა მშრომელებმა სათეს ფართობებში 2.000 ტონამდე ორგანული სასუქი გაიტანეს.

თ. ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲕᲐ.

ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

მექანიზატორთა ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 12 ტრაქტორი, ორი კომბაინი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვს. ეს დიდი ძალაა კოლმეურნეობაში. ტრაქტორებს რემონტი ჩვენ ბაზაში დავამთავრეთ. ახლა მთელი სატრაქტორო პარკი გადაყვანილია სასუქების გატანაზე მინდვრად. ასობით ტონა ნაკელი მოეფინა თოვლით დაფარულ მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს.

ბრიგადაში 18 მექანიზატორია. ყველანი სოფლის მკვიდრნი არიან. ტრაქტორისტები არჩილ ლაფაჩი და არსენ ცაცვაური მოწინავეებად ითვლებიან კოლმეურნეობაში. თვითეულმა მათგანმა უკვე გაიტანა მინდვრად 100 ტონაზე მეტი ნაკელი.

ს. ᲮᲣᲒᲣᲚᲝᲕᲘ,

ლენინგორის საწარმოო სამმართველოს სოფელ არცევის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი.

ᲖᲔᲛᲝᲥᲔᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲥᲔ

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში საპატიო წელილი შეაქვს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ზემო ქედის კოლმეურნეობას, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არსენ კობაძე. ზემო ქედის კოლმეურნეობაში განსაკუთრებით ეხახელა თავი მემინდვრეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ა. ვეშაგური ხელმძღვანელობს. მისმა ბრიგადამ 800 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 27,8 ცენტნერი ხორბალი. ბრიგადა გაცხოველებით ემზადება საგაზაფხულო თესვისათვის.

კოლმეურნეობას საშემოდგომო ხორბალი ნაცვლად 4.180 ჰექტარისა 4.270 ჰექტარზე აქვს დათესილი, ხოლო ქერი — 500 ჰექტარზე. დამთავრდა მინერალური სასუქების შეტანა მთელ ნათესებში, ახლა იმარაგებენ სასუქებს საგაზაფხულო გამოკვებისათვის. მზად აქვთ ტექნიკა, თესლი, ზემოქედელი მემინდვრეები წელს ჰექტარზე მიიღებენ 25 ცენტნერ პურეულს.

ნ. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲠᲑᲝᲑᲔᲑᲨᲘ

კოლხიდიშვილი ლანჩხუთის განყოფილებამ კარგად დაიწყო მომდინარე სამეურნეო წელი. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, თვენახევრის დავლება გადაჭარბებით შესრულდა.

უახლოეს 3 წელიწადში 5.000 ჰექტარი ნოყიერი მიწა ჩადგება ხალხის სამსახურში, დაითესება სიმინდი და გაშენდება ტექნიკური კულტურები.

მ. ᲒᲣᲒᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲘᲚᲘᲡᲘ — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). ქართველ ქიმიკოსთა და მშენებელ-მემონტაჟეთა დელეგაცია რუსთავში დაბრუნდა. ლატვიის ქიმიკოსთა ქალაქ დაუგავპილსში დელეგაციის გამგზავრება ნაყოფიერი გამოდგა. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ზ. ჯაფარიძემ, რომელიც დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ლატვიაში ქართველ ქიმიკოსთა და მშენებელთა ჩასვლის მნიშვნელობა ასე გამოხატა:

ლატვიელ ქიმიკოსებსა და მშენებლებს, როგორც დავრწმუნდით, ჩვენზე სწრაფად და უკეთ უშენებიათ. სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა ჩვენ ერთდროულად დავიწყეთ, მათ უკვე საექსპლოატაციოდ გადასცეს პირველი რიგი და გამოუშვეს ძვირფასი კორდი. ჩვენ გავთვალისწინებთ ლატვიელ მშენებელთა გამოცდილებას, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მშენებლობის ვადები და ორი თვით ადრე გამოვუშვათ ქართული კორდი.

დაუგავპილსის სინთეზური ქარხნის დირექტორმა ა. დრობიასკომ, რომელიც გულთბილად მიგებლამ ქართველ კოლეგებს, განაცხადა:

— ჩვენს ქიმიურ ქალაქში თქვენი ჩამოსვლით კიდევ უფრო განმტკიცდება ქართველი და ლატვიელი ხალხის მეგობრობა. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული ენერგიით აწარმოებს ქიმიური მრეწველობის ობიექტების მშენებლობას, ორი მოძმე რესპუბლიკის თანამოსაქმეთა გამოცდილების გაზიარება უდავოდ სასარგებლო საქმეს გააკეთებს. ა. დრობიასკომ შეაპირდა თავიანთ ქართველ კოლეგებს, რომ მაისში ეწვევიან მათ, ადგილზე გაეცნობიან მშენებლობებს, მისცემენ საჭირო რჩევა-დარიგებას.

დაუგავპილსში ქართველ ქიმიკოსებთან და მშენებლებთან ერთად თავი მოიყარეს ლატვიელმა სპეციალისტებმა. მათ ინტერესით მოისმინეს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოების უფროსის ე. ჩიფაძის საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ შეძლეს ქართველმა ქიმიკოსებმა ლატვიელებთან შედარებით ადრე ჩაეყენებინათ მწყობრში აღნიშნული საწარმო.

ქართველმა ქიმიკოსებმა და მშენებლებმა თავის მხრივ გაიზიარეს ლატვიელთა მდიდარი გამოცდილება და ბევრი სასარგებლო ცნობა ჩაიწერეს უბის წიგნაკებში.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲛᲪᲙᲘᲪᲔ და ხანგრძლივი მშვიდობის იდეა სულ უფრო ეუფლება ასობით მილიონი ადამიანის გონებასა და გულს.

„ცივი ომის“ ღრუბლები იფანტება და უკეკი ანათებს ზნის სხვენები. ასზე მეტმა სახელმწიფომ გამოიჩინა უმაგალითო ერთსულოვნება, შეიერთდა მოსკოვის ხელშეკრულებას. ახლა მსოფლიო საზოგადოებრიობა ხედავს, რომ ისახება ახალი გაბედული და ეფექტიანი წინადადებები, რომლებიც ნაკარნახევია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

გენერალური მიმართულება

ჩვენი წინსვლის ძირითადი საკითხი

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული პარტიის თებერვლის პლენუმის მონაწილეთა მოხსენებები და სიტყვები. ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო და ღრმაშინაარსიან სიტყვაში უურადღება გამახვილებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისადმი. მას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ჩვენი მშენებლობის ძირითადი საკითხი უწოდა.

ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტაში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დგას ამოცანა — მკვეთრად გაადიდონ ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფის, სიმინდის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ეს ამოცანები წარმატებით რომ გადაწყდეს, მთავარია მეურნეობებმა კურსი აიღონ ინტენსიფიკაციაზე. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია გულისხმობს ყოველი ჰექტარი მიწის გონივრულად გამოყენებას. ყველა ღონისძიება უნდა წარიმართოს ამისაკენ, რომ მიწა უხვ მოსავალს იძლეოდეს.

ამ საქმეში ჩვენთან ყველაფერი რიგზე როდია. ყველგან სათანადოდ არ იყენებენ მიწას. მაგალითად, გალის საწარმოო სამმართველოში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვის მწყობრიდან გამოსულია და ეკალბარდით არის დაფარული 1.000 ჰექტარამდე სახნავ-სათესი ფართობი.

პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიას. აფხაზეთში ყოველწლიურად დიდძალი მინერალური სასუქები შემოიქვთ. მათი ეფექტურად გამოყენება მოსავლიანობის დიდი რეზერვია. სასუქების უსისტემოდ გამოყენება კი ნამდვილად დანაშაულია. შემოწმებით დადასტურებულია, რომ ნიადაგების კარტოგრამების უქონლობით გულრიფშის საწარმოო სამმართველოს სოფელ დრანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში ზედმეტად შეტანილი ფოსფორიანი სასუქები საკმარისი იქნებოდა 3-4 წელიწადს. ამჟამად აფხაზეთის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ნიადაგების კარტოგრამების შედგენა.

გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს კოლმეურნეობებში ორგანული სასუქების დაგროვების საქმე. აფხაზეთის ბევრ მეურნეობას აქვს ადგილობრივი მნიშვნელობის სარწყავი არხების მშენებლობის შესაძლებლობა. მკვეთრად დგას აგრეთვე შუმდგომი მექანიზაციის საკითხი. ამ მხრივ ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარე არსებობს. ტექნიკით კარგად არის აღჭურვილი ცალკეული მეურნეობები. მაგალითად, გაგრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მთლიანად მოგვარებულია ნიადაგის დამუშავების კომპლექსური მექანიზაციის საქმე. მაგრამ კვლავ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

გ. ბერულავა.
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი.

სიუხვის გზები

ქიმია. კომპლექსური მექანიზაცია, მორწყვა, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა — აი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე, რომლის მონაწილეც მე ვიყავი.

თებერვლის პლენუმმა დაგვისახა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ახალი ნათელი გზები. ამ გზით სვლა ჩვენ მოკლე დროში მიგვიყვანს ახალ გამარჯვებამდე.

შარშან ახალციხის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა მარცვლეულის წარმოება წინა წელთან შედარებით 16.000 ცენტნერით გაზარდეს, კარტოფილისა — 29.000 ცენტნერით. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 165.000 ფუთი მარცვლეული და 8.016 ტონა კარტოფილი ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს. გადაჯარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. ამ საქმეში თავი ისახელეს აწყურის საბჭოთა მეურნეობამ, ვალეს, ასლის, ნაქალაქევის, პატარა პამაჯის და სხვა კოლმეურნეობების მშრომელებმა.

რაიონის მშრომელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. მათ გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და იკისრეს ახალი ვალდებულებები. წელს სასუქების გონივრული გამოყენებით მარცვლეულის წარმოებას გავზრდით 158.000 ცენტნერიდან 200.000 ცენტნერამდე, კარტოფილისას — 160.000 ცენტნერიდან 300.000 ცენტნერამდე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო წარმოებას წინა წელთან შედარებით გავადიდებთ 1,8-ჯერ.

ჩვენი ეს ვალდებულებანი ზღვარი როდია. რეზერვები ულევია. თუ მოვაბერებთ სარწყავი ფართობების 8-9 ათასი ჰექტარით გადიდებას, მაშინ შეგვიძლია მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 260 ცენტნერამდე, კარტოფილისა — 5 ათას ცენტნერამდე, ბაღების ფართობი გავადიდოთ 6.000 ჰექტარამდე. სარწყავი ფართობების გადიდებისათვის ჩვენ გვინდა წყალსაჭიები და წყალსადენი მილები, რითაც უნდა მოგვამარაგოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის გამოზამთრება. ვემზადებით საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის, წესრიგში მოგვყავს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, მინდვრად შეგვაქვს სასუქები. ჩვენი საწარმოო სამმართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ შექმნან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე.

ი. ხარისჩარიშვილი.
ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ლაპარაკობენ პლენუმის მონაწილენი

წარმატების ბერკეტი

წილად მხვდა, დიდი ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის თებერვლის პლენუმის მუშაობაში. ჩემზე, ისე თუ როგორც ამ დიდ ფორუმის ყველა მონაწილეზე, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ, პლენუმის გადწყვეტილებებმა.

კრემლის ყრილობათა სასახლეში მიწვევამ, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებმა ჩვენ ღრმად ჩაგვაფიქრა. ვთქვით, ნუთუ კმარა ის, რასაც დღემდე მივაღწიეთ? რა თქმა უნდა, არა. ის, რაც წარმატებად მიგვაჩნდა გუშინ, დღეს ვეღარ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან უფრო მეტია საჭირო ამისათვის, რომ დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. მიღებულია დადგენილება — ჩვენი სამოქმედო პროგრამა. დიდი ფორუმის მონაწილენი შინ დაბრუნდნენ. ჩვენც დავბრუნდით თუ არა, მომავლის სამოქმედო კონკრეტულ გეგმებს კრიტიკული თვალით გადავხედეთ.

შვიდწლედის მეხუთე წელს ჩვენი საწარმოო სამმართველოს მინდვრის მშრომელებმა დიდ შრომითს წარმატებას მიაღწიეს — სამშობლოს ბეღელში შეინახეს 53 ათას ტონაზე მეტი მარცვალი.

შვიდწლედის მეექვსე წელს კი უფრო გავადიდებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონეს. 57.500 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 23-24 ცენტნერ მარცვალს, 124 ათასი ტონის ნაცვლად ვაწარმოებთ 193 ათას ტონა მარცვალს, მნიშვნელოვნად გავადიდებთ ყურძნის, ხილის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას.

ა. გონაშვილი.
სიღნაღის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ძვირფასი რეზერვი

ვაზის ნასხლავების გამოყენება ქაღალდის მრეწველობაში

ჩვენს ქვეყანაში უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის განვითარებას, რადგან წარმოების ამ დარგის განვითარების დონეზე დიდად არის დამოკიდებული სახალხო განათლება, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურისა და სახალხო მეურნეობის მთელი რიგი სხვა დარგების შემდგომი წარმატება.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირში 1963 წელს 1913 წელთან შედარებით ქაღალდის წარმოება გადიდდა 12,5-ჯერ, ხოლო ცელულოზის წარმოება 56-ჯერ, მრეწველობის ამ დარგში მიღწეული დონე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით მომდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ცელულოზის წარმოება გაიზარდოს 2-3-ჯერ, ხოლო ქაღალდის წარმოება — 1,6-ჯერ და მუყაოსი — 4-ჯერ და უფრო მეტად.

ცელულოზ-ქაღალდის წარმოებისათვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს მცენარეთა ბოჭკო. მცენარეულ ბოჭკოს შეიცავს როგორც მერქნიანი, ისე არამერქნიანი მცენარეულობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოჭკოვან მცენარეულთა სახეობა ბუნებაში უამრავია, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცელულოზ-ქაღალდის წარმოებისათვის იყენებენ მხოლოდ მერქანს, ჩალას და ლერწამს. ნედლეულის აღნიშნული სახეობიდან მერქნის ხარჯვის ხვედრითი წონა 80-85 პროცენტს შეადგენს. მარტო ქაღალდის წარმოებისათვის სსრ კავშირში ყოველწლიურად იხარჯება 10-12 მილიონი კუბური მეტრი მერქანი, ხოლო შვიდწლედის ბოლოს ნავარაუდევი 3,5 მილიონი ტონა ქაღალდის წარმოებაზე დაიხარჯება დაახლოებით 20 მილიონი კუბური მეტრი მერქანი. ეს იმას ნიშნავს, რომ 1965 წელს მარტო ქაღალდის წარმოებ-სათვის უნდა გაიჩეხოს დაახლოებით 200 ათასი ჰექტარი ტყე. 1966-70 წლებში ნავარაუდევია ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის შემდგომი მკვეთრი ზრდა, რისთვისაც კიდევ უფრო მეტი მასშტაბით უნდა გაიზარდოს ტყის ექსპლოატაცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ „თუმცა ჩვენს ქვეყანას ტყის უდიდესი სიმდიდრენი აქვს, მაგრამ ისინი მომჭირნეობით, ყაირათიანად უნდა გამოიყენოთ“.

ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობისათვის შედარებით უფრო ეკონომიური ნედლეულის გამოვლინებისა და დანერგვის საკითხებზე დიდი ყურადღებით მუშაობენ საბჭოთა მეცნიერები, სამეცნიერო-საკვლევი და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები. ამ დარგში გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად უკვე მიღებულია ზოგიერთი ბრწყინვალე შედეგი. მსოფლიო აღიარება ჰპოვა ლერწმის გამოყენებამ ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობაში. ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობა წარმოეს საქართველოშიც. მაგალითად, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. ჩხუბიანიშვილმა პირველად სსრ კავშირში დაამუშავა მურყნის მერქნის გამოყენება ცელულოზ-ქაღალდის წარმოებაში. ეს წინადადება უკვე დაინერგა ზუგდიდის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატში და გარდა იმისა, რომ წარმოებიდან გამონთავისუფლებულ იქნა ათეულ ათასობით კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი სამშენებლო ხე-ტყე, ეს მილიონობით მანეთი ეკონომიას აძლევს სახელმწიფოს.

სოფლის მეურნეობაში არის გამოყენებული ნარჩენები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობაში. ასეთი ნედლეულია ვაზის ნასხლავი, მაგრამ იგი დღემდე შესწავლილი არ იყო.

ვაზის ყოველწლიური გასხვლა ვაზის მოვლისა და მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აგროწესების მიხედვით ვაზის ნასხლავს აგროვებენ და ვენახის ნაპირზე გამოაქვთ. მრავალი წლის დაკვირვებებით დადგენილია, რომ სხვადასხვა ჯიშის ვაზი ნასხლავი მასის სხვადასხვა ოდენობას იძლევა. ნორმალური ზრდა-განვითარების პირობებში „განჯური“ ჯიშის ვაზი სამუშაოდ ჰექტარზე 3,5 ტონა ნასხლავს იძლევა, „ჩინური“ — 3,2, „რქაწითელი“, — 2,9, „საფერავი“ — 2,7, „ცოლიკოური“, „ცოცქა“, „ბორული მწვანე“ სამუშაოდ — 2,4-2,6 ტონას.

აღნიშნული მოცულობის ნასხლავის აკრეფისა და გზებზე გამოტანისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დადგენილი აქვთ ჯიშების მიხედვით დიფერენცირებული გაძოუშავების დღიური ნორმები. საშუალოდ ჩვენს რესპუბლიკაში ჰექტარი ვაზის ფართობზე ნასხლავის შეგროვება-გამოტანაზე იხარჯება 4-5 შრომადღე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში ნასხლავის შეგროვება-დაფვაზე — 8,6 მანეთი. 1963 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით საქართველოში ირიცხება 88 ათასი ჰექტარი ვენახები. ამ ფართობის მარტო ვაზის ნასხლავისაგან გაწმენდაზე ყოველწლიურად იხარჯება სულ მცირე (88.000×4) 352 000 შრომადღე და დაახლოებით (88.000×8,6) 756,0 ათასი მანეთი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ვენახების ფართობი 1965 წლისათვის ჩვენს რესპუბლიკაში გადიდდება 150 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1967 წლისათვის 200 ათას ჰექტარამდე, ნათელი წარმოსადგენი გახდება, რამდენი შრომა და ფულადი რესურსები უნდა დახარჯოს ამისათვის.

საქართველოში გავრცელებული ცალკეული ვაზის ჯიშების ხვედრის გაანგარიშებით საშუალოდ რესპუბლიკაში 1 ჰექტარზე ვაზის ნასხლავის ოდენობა საშუალოდ 2,8 ტონას შეადგენს. ხოლო მისი საერთო ოდენობა რესპუბლიკის მასშტაბით ამჟამად (88.000×2,8) 246 ათას ტონას უდრის. ნასხლავის ეს უზარმაზარი მასა ზოგ ადგილას გამოყენებულია როგორც მდარე ხარისხის საწვავი, უმეტეს შემთხვევაში კი მას შეგროვების ადგილას წვავენ.

სსრ კავშირში 1959 წლისათვის ვენახი გაშენებული იყო 755 ათას ჰექტარზე. შვიდწლედის ბოლოსათვის კი მიაღწევენ საერთო ფართობი გაიზრდება 1,6 მილიონ ჰექტარამდე. აღნიშნულ ფართობებზე მიღებულ ნასხლავის საერთო მოცულობა 4 მილიონ ტონას გადააჭარბებს. ამ დიდი მოცულობის ნარჩენების გამოყენებას რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

ამ ნარჩენების საწარმოო გამოყენების ცდები არაერთხელ იყო წარმოებული. მეცხოველეებმა სცადეს მისი დაფქვა და საკონლის საკვებად გამოყენება, მაგრამ ეს არაეფექტური აღმოჩნდა.

1932 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს დავალებით სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა შეესწავლა ვაზის ნასხლავის ცელულოზ-ქაღალდის წარმოებაში გამოყენების საკითხი, მაგრამ ჩატარებულ ცდებს რაიმე სამეურნეო შედეგი არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ არათუ საქართველოში, არამედ სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც და უცხოეთის სხვა ქვეყნებშიც ვაზის ნასხლავი საწარმოო მიზნით ჯერჯერობით არსად არ არის გამოყენებული.

1959-1963 წლებში სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა (ავტორი — პროფ. კ. თარგამაძე, თანაავტორები — ხის დამშუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ვ. ვარაზაშვილი, ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის დირექტორი შ. ჯანაშია და ამავე კომბინატის მთავარი ინჟინერი თ. ცუნდაშვილი) დაამუშავა ვაზის ნასხლავის ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობაში გამოყენების შესაძლებლობა.

ამ ექვეკის შედეგად დადგენილ იქნა ერთი მხრივ ნასხლავის დამზადებისა და ტრანსპორტირების რაციონალური საშუალებები და მეორე მხრივ ლენინგრადის ცელულოზ-ქაღალდის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კოსსულტაციით — ჯერ ლაბორატორიული წესით და შემდეგ ნახევრად საწარმოო მასშტაბით ვაზის ნასხლავისაგან მუყაოს და სხვადასხვა ხარისხის ქაღალდის მიღების ტექნოლოგია. განხორციელდა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოეწყოს ნასხლავის დაწნეხვა და ბარდნებად შეკვრა. ამ მიზნით გამოყენებული იქნება თივის საწნეხი ან ხე-ტყის ნარჩენების საწნეხი წნეხები. ვაზის ნასხლავის დაწნეხვა და ბარდნების სახით შეკვრა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას ყოველი სახის ტრანსპორტის საექსპლოატაციო სიმძლავრე. ჩვენი გაანგარიშებით ერთი ტონა ვაზის ნასხლავის ღირებულება გადამუშავების ადგილზე მაშინაც კი, თუ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს აიუნაზღაურებდა მის შეგროვებაზე გაწეული ხარჯები, 12-14 მანეთზე მეტი არ იქნება. 1 კუბური მეტრი სოჭის მერქნის თვითღირებულება კი 30 მანეთს შეადგენს.

ჩვენ მიერ გაწეული კვლევის შედეგების საფუძველზე განსაზღვრულია გურჯაანში ამეხდეს 70-80 ათასი ტონის წლიური სიმძლავრის მუყაოს ფაბრიკა. ხოლო ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი ახლო მომავალში დაიწყებს ნასხლავის საწარმოო გამოყენებას.

ვაზის ნასხლავის გამოყენება პირველად საქართველოში დაიწყება. სოფლის მეურნეობის ამ ნარჩენის გამოყენება მნიშვნელოვნად გაადიდებს ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის ნედლეულის ბაზას, გამოანთავისუფლებს ასეულათასობით კუბურ მეტრ ძვირფას მერქანს ცელულოზ-ქაღალდის წარმოებიდან და ამით გარკვეულ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის ტყეების დაცვის საქმეში, გარკვეული სიდიდით შეამცირებს ყურძნის ფოთლიერებულებას და ამით გადიდებს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფულად შემოსავალს. იაფფასიანი ნედლეულის გამოყენების შედეგად მკვეთრად გადიდდება ცელულოზ-ქაღალდის საწარმოთა რენტაბელობა.

საჭიროა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს, რათა დავაჩქაროთ ამ ძვირფასი ნარჩენების ქაღალდის მრეწველობაში გამოყენება და ვიხსნათ ტანჯვა-წამებისაგან.

კ. თარგამაძე.
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის ტაქსაციის, ექსპლოატაციის, ტყის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ინტენსიფიკაციის სიკეთე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის მძლავრ ბერკეტს კომპლექსური მექანიზაცია წარმოადგენს. მცხეთის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობა მიწათმოქმედების მაღალი კულტურის საფუძველზე ყოველწლიურად უხვად აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. მაგალითად, ქვემო ჭალის, ნიჩბისის, ნოსტის, სამთავისის კოლმეურნეობებმა ორმაგად შეასრულეს მარცვლეულის კულტურების მოსავლიანობის გეგმები. სამთავისის კოლმეურნეობამ 167 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 62 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ასეთი ფაქტი ბევრია. ყოველივე ეს მიღწეულია კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით, სარწყავი წყლის, მინერალური და ორგანული სასუქების გონივრულად - გამოყენებით. მაგრამ მოწინავეთა გეგერდით არიან ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მეკარე მოსავალს იღებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის თებერვლის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე 1963 წლის მეოთხე და 1964 წლის პირველი კვარტალის გეგმები. სოფელ ნოსტის კოლმეურნეობაში მექანიზატორები შალვა მაისურაშვილი და ვახტანგ გაგოძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებთ აოფრთოვანებულნი, სიმინდის დასათესად ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს მინერალური სასუქები გამოიყენონ მარცვლეული კულტურების ნათესებში, ფართოდ დანერგონ ერთ სამეურნეო წელს ორი-სამი მოსავლის მოყვანა, როგორც მარცვლეული წარმოებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების ეფექტიანი საშუალება.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, წარმოების შიდაარეზერვების ამოქმედების გზით მცხეთელი მშრომელები შვიდწლედის მეექვსე წელს სამშობლოს მისცემენ 7.500 ტონა მარცვლეულს, 6.600 ტონა ბოსტნეულს, 1.500 ტონა შაქრის ჭარხალს, 7.000 ტონა ყურძენს, 4.000 ტონა ხილს, 1.000 ტონა ხორცს, 3.000 ტონა რძეს და სხვა პროდუქტებს.

ვიშრომებთ ისე, რომ საბჭოთა ხალხმა უფრო სწრაფად იგრძნოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კეთილნაყოფიერი შედეგები.

დ. მაღალაშვილი.
მცხეთის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

მთავარი საზრუნავია პროდუქტების სიუხვე

წერილების მიმოხილვა

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელების მხარდამხარ ენერგიულად შრომობენ რესპუბლიკის მხვნელ-თესველები, მეჩაიეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის მუშაკები. მათ ფართოდ გაანაწილეს ბრძოლა შვიდწლედის მეექვსე წლის ზეიმიდების ასაღებად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების ადგილზე მაშინაც კი, თუ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს აუნაზღაურდება მის შეგროვებაზე გაწეული ხარჯები, 12-14 მანეთზე მეტი არ იქნება. 1 კუბური მეტრი სოჭის მერქნის თვითღირებულება კი 30 მანეთს შეადგენს.

ჩვენ მიერ გაწეული კვლევის შედეგების საფუძველზე განსაზღვრულია გურჯაანში ამეხდეს 70-80 ათასი ტონის წლიური სიმძლავრის მუყაოს ფაბრიკა. ხოლო ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი ახლო მომავალში დაიწყებს ნასხლავის საწარმოო გამოყენებას.

ვაზის ნასხლავის გამოყენება პირველად საქართველოში დაიწყება. სოფლის მეურნეობის ამ ნარჩენის გამოყენება მნიშვნელოვნად გაადიდებს ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის ნედლეულის ბაზას, გამოანთავისუფლებს ასეულათასობით კუბურ მეტრ ძვირფას მერქანს ცელულოზ-ქაღალდის წარმოებიდან და ამით გარკვეულ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის ტყეების დაცვის საქმეში, გარკვეული სიდიდით შეამცირებს ყურძნის ფოთლიერებულებას და ამით გადიდებს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფულად შემოსავალს. იაფფასიანი ნედლეულის გამოყენების შედეგად მკვეთრად გადიდდება ცელულოზ-ქაღალდის საწარმოთა რენტაბელობა.

საჭიროა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს, რათა დავაჩქაროთ ამ ძვირფასი ნარჩენების ქაღალდის მრეწველობაში გამოყენება და ვიხსნათ ტანჯვა-წამებისაგან.

კ. თარგამაძე.
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის ტაქსაციის, ექსპლოატაციის, ტყის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მეგობრობის ხიდი

გაზეთების ფურცლებზე

ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჩვენს დრომდე კი ეს მეგობრობა დუღაბივით განმტკიცდა და ახალი შინაარსით გამდიდრდა. მეგობრობის უწყვეტი ძაფებია გაბმული თბილისსა და კიევს, ჭიათურასა და ნიკოპოლს, მახარაძესა და გენიჩესკს შორის... ცოტა ხნის წინ მეგობრობა ახალი სიმი გაიბა საქართველოს სსრ ბოლნისისა და უკრაინის სსრ ვინიცის ოლქის ბერშადის საწარმოო სამმართველოებს შორის. ბოლნისელ მშრომელთა დელეგაცია იყო ბერშადში, სადაც გაეცნო გამოცდილებას სოფელ შლიახოვოს სკკპ XXII ყრილობის სახელობის ბოლნისელებისას, რომელსაც საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი ვ. კავუნი ხელმძღვანელობს.

იმ მიზნით, რომ მოძმე უკრაინელ კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილება ბოლნისის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა ფართო მასების კუთვნილებად გადაქცეა, საქართველოს კპ ბოლნისის საწარმოო სამმართველოს კომიტეტისა და რაიისაბჭოს აღმასკომის ორგანომ „გამარჯვების დროშამ“ (რედაქტორი გ. ჯინჭარაძე) იანვარსა და თებერვალში თავისი ორი ნომერი მიუძღვნა ჯერ საერთოდ ბერშადის საწარმოო სამმართველოს, ხოლო შემდეგ ცალკე შლიახოვოს სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობისა გამოცდილებას. პირველი მათგანი ბერშადის საწარმოო სამმართველოს გაზეთი „ეკონომისტი“ გამცვლელი ვეგერი იყო, ხოლო მეორე — გაზეთი „გამარჯვების დროშის“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა ადგილზე, სოფელ შლიახოვოში მოამზადეს.

გაზეთის ორივე ნომერში ბოლნისის საწარმოო სამმართველოს მშრომელები მათთვის საინტერესო ბევრ მასალას გაეცნენ. მათ წაიკითხეს ბერშადის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის ვ. კაჩურის, შლიახოვოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. კავუნის, რიგითი ადამიანების წერილები, რომლებშიც ისინი უბრალოდ, მაგრამ საფუძვლიანად და დამაჯერებლად მოუთხრობენ მკითხველებს მოპოვებულ წარმატებებზე, თავიანთი მუშაობის ხერხებზე, ახალ ამოცანებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. ნომრები კარგად არის გაფორმებული და ილუსტრირებული.

განსაკუთრებით საინტერესოა კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. კავუნის წერილი.

— შლიახოვო, — წერს იგი, — ჩვენი დიდი მამულის პატარა ნაკადულია. მაგრამ პატარა ნაკადულები ხომ მდინარეებს ქმნიან, მდინარეები კი ზღვებს. ოკეანეებს. ბუნებრივია, რაც უფრო წყალუხვი და მდიდარი იქნება ნაკადული — კოლმეურნეობა, სოფელი, მით უფრო შეძლებული იქნება ჩვენი სამშობლო. შლიახოვოელი კომუნისტები და სოფლის მთელი აქტივი უკანასკნელი წლების მანძილზე დიდ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებას. ჩვენთან ფართო გამოყენებას პოულობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, შრომის მოწინავე მეთოდები. კადრების ეკონომიური და პოლიტიკური მომზადება სოფლის ძირითადი მასის საზრუნავ საქმედ გადაიქცა.

...კოლმეურნეობის გამგეობის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, მისი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. ამიტომ არის, რომ არტელში შრომის მთელი სიმძიმე მანქანების „მხრებზეა“ გადატანილი. 1962 წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდი, 34,7 ცენტნერი ბარდა და 23,5 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. კოლმეურნეობაში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 1963 წელს 42,1 ცენტნერს მიაღწია. მოსავლიანობის გადიდების საქმეში კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევს მინერალური და ორგანული სასუქები.

მაგრამ ჩვენი ზრუნვის ობიექტი მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უხვად წარმოება როდია. ჩვენი მუშაობის მიზანია ახალი ადამიანის აღზრდა. კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი შლიახოვოელებმა სიცხლეზრცეულ საქმედ იქცა. ამ მხრივ წარმატებები იგრძნობა შრომისადმი ჩვენი კოლმეურნეების დამოკიდებულებაში. ყოველწლიურად ახალი ადამიანებით ივსება მოწინავეთა რიგები. კოლმეურნეობაში გაერთიანებული 1.800 შრომისუნარიანი წევრიდან უკანასკნელი სამოთხე წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შეურულებლობისა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სოფელში იშვიათად შეხდებოდით კეთილმოწყობილ ბინას, ბევრი რამ აკლდათ აქაურ გლეხებს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, აღმოცენდნენ ახალი საცხოვრებელი ბინები თეთრი სახურავებით.

კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. კუზიკი გაზეთის ფურცლებზე მკითხველთ უთაკვს კომუნისტების ავანგარდულ როლს, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბ. სივაკი — ახალგაზრდობის შრომითს საქმეებს, კოლმეურნე ი. კვაჩუკი — შრომით მოპოვებულ ბედნიერებას და სხვ.

გაზეთმა „გამარჯვების დროშამ“ კარგი საქმე გააკეთა, როცა ბოლნისის საწარმოო სამმართველოს მშრომელებს გააცნო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე საწარმოო სამმართველოს და სახელგანქმული სასოფლო-სამეურნეო არტელის მუშაობის ძვირფასი გამოცდილება. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ამ დღეებში გაზეთმა გამოაქვეყნა მეცალელი გვერდი, რომლის მიზანია უკრაინელი მეგობრები ახიაროს ბოლნისელ მშრომელთა მიღწევებს: უფრო ცხადი გახდება გაზეთის კეთილშობილური მიზანი: განამტკიცოს ქართველ და უკრაინელ ხალხთა შრომითა და ბრძოლით მოპოვებული მეგობრობა, ხელი შეუწყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ნ. ბიბილეიშვილი.
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჟრობის სამმართველოს უფროსი.

წარმოგვგზა და მომხმარებელი

ლამაზი სუვენირებით დავამშვენოთ ო

საერთაშორისო
ლეკვიანი ცხოვრება
ცხოვრება

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 19 თებერვალი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალი გრანდიოზული გეგმები — გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ქიმიური მრეწველობისა და ირიგაციის განვითარების გზით, რომლებიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა, სასიხარულო ცნობაა ინდოეთისა და სხვა სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებისათვის“, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ინდოეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ შ. ა. დანგემ.

„ჩვენ გვახარებს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარების უპრეცედენტო პერსპექტივები,—თქვა შ. ა. დანგემ,—იმიტომ, რომ საბჭოთა ეკონომიკის განვითარება უშუალო სარგებლობას მოუტანს ყველა სუსტად განვითარებულ ქვეყანას, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს თავისუფლება, მათი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში“.

„საბჭოთა კავშირის ახალ გეგმებს, — ხაზგასმით აღნიშნა შ. ა. დანგემ, — მივესალმებით არა მარტო ინდოელი ხალხის ინტერესთა თვალსაზრისით, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათი შესრულება ნიშნავს საბჭოთა ხალხის მიახლოებას კომუნიზმთან“.

ᲡᲐᲘᲠᲣᲡ ᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

18 თებერვალს საღამოს სსრ კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ გადასცა თვალსაჩინო ამერიკელი საზოგადომოღვაწისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის საირუს იტონისა და მისი მეუღლის ანა იტონის საუბარი საბჭოთა ჟურნალისტებთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს „პრავდის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ნ. ინოზემცევმა, „იზვესტიის“ მიმომხილველმა ნ. პოლიანოვმა, საკდესის რედაქციის გამგემ ა. კისლოვმა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ინსტიტუტის გენერალურმა მდივანმა ტ. მამედოვამ.

საირუს იტონმა განაცხადა: პროგრესი, რომელსაც საბჭოთა ქვეყანამ მიაღწია, ცხადია. ყველგან ხედავ იმის დადასტურებას, თუ რა წარმატებები და უდიდესი ენერგია აქვს საბჭოთა ხალხს, იმის დადასტურებას, თუ რა დიდ პროგრესს მიაღწია მან.

საირუს იტონმა უპასუხა კითხვაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებული პლენუმი, და თქვა: მე თავიდან ბოლომდე წავიკითხე თავმჯდომარე ხრუშჩოვის სიტყვა, ამ სიტყვის ზოგიერთი ნაწილი კი ერთხელ კიდევ გადავიკითხე. სავსებით ვეთანხმები მის დებულებებს. მიმაჩნია, რომ ეს სიტყვა ბრძნული და ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. საბჭოთა ხალხს აქვს ყველა შესაძლებლობა, რათა მიაღწიოს სრულ პროგრესს სოფლის მეურნეობაში.

ს. იტონმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი XII პაგუოშის კონფერენციის შესახებ, რომელიც ამას წინათ დამთავრდა ინდოეთში, და აღნიშნა, რომ მეცნიერთა ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 25 ქვეყნის წარმომადგენლებმა. თუმცა ისინი სხვადასხვა იდეოლოგიური შეხედულების გამომხატველნი არიან, თქვა ს. იტონმა, მაგრამ ერთ აზრს დაადგნენ ბევრ საკითხში, რომლებიც კაცობრიობის ბედს ეხება. და მთავარი საკითხი, რომელიც ამ კონფერენციაზე აღიძრა, ის არის, რომ მშვიდობა საჭიროა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

როგორც ყოველთვის, კონსტრუქციული და მეტად სასარგებლო როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. ესენი არიან გამოჩენილი ადამიანები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ყოველ საერთაშორისო შეხვედრაში, განაცხადა ს. იტონმა.

საირუს იტონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კარგი ურთიერთობა დამყარდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია გარკვეული პროგრესი, თქვა მან, — მაგრამ მე, როგორც საქმიანი სამყაროს წარმომადგენელს, მინდა არ დავჯერდე ამას და გამოვთქვა აზრი, რომ საჭიროა განვითარდეს ვაჭრობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ჩვენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნდა გავაუქმოთ ის არაგონივრული შეზღუდვები, რომლებიც დაწესებული გვაქვს და ხელს უშლიან ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან. დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში ეს შეზღუდვები გაუქმდება.

საირუს იტონმა აღნიშნა, რომ განზრახული აქვს უახლოესი წლები ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას მიუძღვნას.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი საჭიმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. მოწოდება — მოლაპარაკების გზით გადაჭრათ ყველა სადავო საკითხი, განაცხადა ს. იტონმა, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია მშვიდობის გზაზე. საირუს იტონმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს უწოდა ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე მსოფლიოში.

საირუს იტონს ჰკითხეს, როგორ უხამებს იგი, მსხვილი კაპიტალისტი, თავის ინტერესებს მშვიდობისათვის საქმიანობას. მან აღნიშნა: ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენი პლანეტა პატარაა და მას სეროიზულად არ უნდა მოვეკიდოთ. მაგრამ ეს ერთადერთი პლანეტაა, რომელიც ჩვენ გვაქვს, და მე მინდა ვეცადო დავიცვა ამ პლანეტაზე მსოფლიოს ყველა ბავშვი — როგორც ჩვენი, ისე საბჭოთა ბავშვები. ხოლო სად ნახავ უფრო მშვენიერ, ჯანსაღ ბავშვებს, ვიდრე თქვენში, საბჭოთა კავშირში, თქვა საირუს იტონმა.

მივემგზავრები საბჭოთა კავშირიდან, განაცხადა დასასრულ საირუს იტონმა, ახალი რწმენით, თუ რა უდიდესი მომავალი აქვს თქვენს დიდ ქვეყანას. მივემგზავრები ისე, რომ კიდევ უფრო დიდად აღტაცებული ვარ იმ მიღწევებით, რომლებიც საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

ქ-ნმა იტონმა დასძინა, რომ საბჭოთა ქვეყანა, მისი შთაბეჭდილებით, წინ მიდის ჭეშმარიტად უდიდესი სიჩქარით.

საირუს იტონმა და მისმა მეუღლემ გულთბილი მადლობა უძღვნეს საბჭოთა ადამიანებს გულითადი სტუნართმოყვარეობისათვის და უსურვეს მათ ყოველივე საუკეთესო. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲒᲕᲘᲡ ᲓᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ!

ამ ცოტა ხნის წინძილზე ეს მესამედ გვიხდება გიამბოთ მამაზვილის სოკრატ და მარადი პაპალაშვილების შესახებ.

გასული წლის 22 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა საბჭოთა არმიის რიგითი მებრძოლების მ. აბრამიშვილისა და ი. ჩაბავას წერილი „დნეპრის სანაპიროებზე“. წერილში მოთხრობილი იყო დიდი სამამულო ომის გმირის, ქართველი პარტიზანის სოკრატ ალექსის-ძე პაპალაშვილის სასახელო საქმეები.

ქართველი მებრძოლები წერდნენ, რომ მათს ნაწილში მიიყიდა ყოფილი პარტიზანი გიორგი ანტონის-ძე ხრამოვიჩი, რომელმაც მეომრებს უამბო, თუ რა მამაცურად იბრძოდა და როგორ დაიღუპა ქართველი მებრძოლი სოკრატ პაპალაშვილი.

ამ წერილში მარტოოდენ ს. პაპალაშვილის გმირობაზე როდია ლაპარაკი. მებრძოლები წერენ, თუ რა მიზეზით მოხვდა ხრამოვიჩი მათს ნაწილში.

როგორც წერილიდან ჩანს, ყოფილი პარტიზანი გ. ხრამოვიჩი ხუთი ქალიშვილი ეძებდა თავისი მებრძოლი ერთგული ამხანაგის სოკრატ პაპალაშვილის ნათესავებს.

ბოლოს საბჭოთა ბელორუსიის ქალაქ მოგილიოვში სამისამართო ბიუროს საშუალებით მან მიაკვლია ქართველი კაცის — პაპალაშვილის გვარს.

ხრამოვიჩი შეხვდა და ესაუბრა სოკრატ ალექსის-ძე პაპალაშვილის მეუღლეს, კეთილ ბელორუს ქალს ანა თევდორეს ასულ ზამორინას. გამოირკვა, რომ სოკრატსა და ანას ჰყოლიათ ერთადერთი შვილი — მარადი სოკრატის-ძე პაპალაშვილი, რომელიც ცოცხალია და ჯანსაღად არის. იგი ოფიცერია, სამხედრო სამსახურშია.



და აი ხრამოვიჩი გაემგზავრა იმ ნაწილში, სადაც ახალგაზრდა ოფიცერი მარადი პაპალაშვილი მსახურობს. მან ინახულა თავისი თანამებრძოლის შვილი, ესაუბრა მეომრებს სოკრატ პაპალაშვილის გმირობაზეც და იმაზეც, თუ რა მიზეზით მოხვდა იგი მათს ნაწილში.

ახალგაზრდა ოფიცერი მარადი პაპალაშვილი ოცნებობდა ეთქვა თავისი ნათესავები, გაეგო, სად ცხოვრობდა მამამისი. მან თავისი ხაზინის ქართველ მებრძოლებს, ზეძოხსენებული წერილის ავტორებს გადასცა თავისი მამის ერთადერთი სურათი, რომელიც მარადის სურათთან ერთად დაიბეჭდა „კომუნისტში“.

მამა-შვილია ამ სურათებმა ცნობილი გახადეს ქართველი ხალხის კიდევ ერთი სახელოვანი შვილის ვინაობა.

„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ გასული წლის 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი „რონიდან დნეპრამდე“, რომელშიც მოთხრობილია ნამდვილი ამბავი გმირი პარტიზანი აკვანზე, იბაზე, თუ როგორ გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა სოკრატ პაპალაშვილმა.

როგორც მკითხველებმა იცით, სოკრატ პაპალაშვილი ქუთაისის მკვიდრია. აქედან, რონის ნაპირებიდან წვიდა იგი დნეპრის ნაპირებისაკენ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ქუთაისში ყველა ნათესავმა და ახლობელმა იცოდა, რომ სოკრატს 1940 წელს გაუწყდა მეძკვიდრე, რომელსაც მარადი დაარქვა.

აკი კიდევაც მოიწერა მაშინ სოკრატმა, მომავალ ზაფხულში შვებულებით ჩამოვალ ქუთაისში დ ჩემს მეუღლესა და ვაჟს ჩამოვიყვანო.

მაგრამ ყველამ იცის, იმ „მომავალ ზაფხულში“ სხვანაირად დატრიალდა სოკრატის, მისი თაობის, მთელი ქვეყნის საქმეები...

იმ ზაფხულს ომი დაწყო...

კადრის ოფიცერმა სოკრატ პაპალაშვილმა არათუ ნათესავები ვერ ინახულა, არამედ იძულებული გახდა ცოლშვილიც დაეტოვებინა, და ქუთაისის ნაცვლად ფრონტის წინა ხაზისაკენ გასწია.

ასეთია ომის კანონი.

გულმოკლული იწერებოდა სოკრატი ფრონტიდან, ცოლშვილი დავკარგე... ან დამომბვის მსხვერპლი გახდნენ, ან თუ გადარჩნენ, სადმე ევაკუირებული იქნებიანო.

ცოლშვილი გადარჩა, თვითონ კი დაიღუპა. გმირთა სიკვდილით დაეცა სოკრატ პაპალაშვილი.

მისი ცოლშვილი კი ცოცხალია. ცოცხალია მისი პირმშო, მისი მეორე სიცოცხლე მარადი სოკრატის-ძე პაპალაშვილი, რომელმაც სამხედრო სამსახურში შეცვალა მამა.

გმირები არ კვდებიან, არც ის მშობლები კვდებიან, რომლებიც ამ ქვეყანაზე ღირსეულ შვილებს ტოვებენ.

სოკრატ პაპალაშვილი კი გმირიც იყო და კარგი შვილის მამაც.

ახლა გაზეთის საშუალებით ნათესავებმა კი არა, მთელმა ქართველმა ხალხმა გაიგნო მარადი სოკრატის-ძე პაპალაშვილი.

არასოდეს არ უნახავს მარადის საქართველო, თავისი მამის კერა, თავისი ნათესავები.

ქუთაისმა მოიწვია, ნათესავებმა მოიპატიჟეს მარადი, და იგი ეწვია საქართველოს.

ე ს მოხდა ამ დღეებში... მარადი პაპალაშვილმა პირველად დადგა ფეხი მამისეულ მიწაზე.

ქუთაისი, ლენინაკანის ქუჩა, ამ ქუჩის მესაკუ შესახვევი და № 5 სახლი, სადაც მარადის ნათესავები ცხოვრობენ, დიდი სიხარულის მოწმე გახდა.

ამ სახლში, მარადის ბიძის შოთა საყვარელიძის ბინაზე, თავი მოიყარა ყველამ, ვისთვისაც ასე ძვირფასია დაღუპული გმირის სოკრატ პაპალაშვილის სახელი, მისი შვილის მარადი პაპალაშვილის სახე.

ბულით გაიხარა ყველამ — სტუმარმაც და მასპინძლებმაც.

მოვიდა იგი... გმირის მეორე სიცოცხლე.

— კი ბატონო მამაო, ჩვენს საყვარელ ძმას სოკრატს! — ხიხარულის ცრემლები წასკდათ მამიდებს — მარო მამრიკაშვილს და თინა საყვარელიძეს.

— დედაშენი როგორ ცხოვრობს, როგორ გადაურჩით ომის ხანძარს, როგორ იზრდებოდი, „როგორ მიდის შენი მხედრული ცხოვრება, — სხაპასხეპით მიაყარეს კითხვები მარადის....

ძვირფასო მკითხველო!

თუ თქვენ ამ ამბის თავდაპირველი ვითარება იცით, ეს კითხვები ალბათ თქვენც გაინტერესებთ.

ვიტყვით მოკლედ, ისე მოკლედ, როგორც ჩვენმა სტუმარმა მარადიმ გვიამბო:

ომის წინ, სოკრატ პაპალაშვილი კადრის ოფიცერი იყო. იგი იამბედოო სამსახურში ყოფნის დროა დაკორწინდა, ცოლად შეირთო ბელორუსი ქალი ანა თევდორეს ასული ზამორინა. 1940 წლის 9 აგვისტოს გაეჩნდათ ვაჟი, რომელსაც მარადი დარქვეს. მარადი დაიბადა მინსკში, იმ ქალაქში, რომელიც, გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩვენს ქვეყანაზე ვერაგული თავდასხმის პირველსავე დღეს დაბომბეს.

მაშინ მარადი ათიოდე თვისა იყო. მამა ფრონტზე წავიდა. დედამ, ანა თევდორეს ასულმა, გულში ჩაიკრა პაწია პირმშო და ძლივს მიაღწია თავის მშობლიურ ქალაქ მოგილიოვამდე.

აქ, მოგილიოვში, აღიზარდა და დავაჟკაცდა მარადი პაპალაშვილი. 1958 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ არმიაში გაიწვიეს. და ისე, როგორც ერთ დროს მამამისი, სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1961 წელს. ამის შემდეგ იგი ბელორუსიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ გარნიზონში მსახურობს. სამხედრო წოდებით ლეიტენანტი, ოჯახური მდგომარეობით კი — უცოლშვილო. აი მისი მოკლე ბიოგრაფია.

თითქმის ორი კვირა დაპყო მარადი

ოის წინ, სოკრატ პაპალაშვილი კადრის ოფიცერი იყო. იგი იამბედოო სამსახურში ყოფნის დროა დაკორწინდა, ცოლად შეირთო ბელორუსი ქალი ანა თევდორეს ასული ზამორინა. 1940 წლის 9 აგვისტოს გაეჩნდათ ვაჟი, რომელსაც მარადი დარქვეს. მარადი დაიბადა მინსკში, იმ ქალაქში, რომელიც, გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩვენს ქვეყანაზე ვერაგული თავდასხმის პირველსავე დღეს დაბომბეს.

მაშინ მარადი ათიოდე თვისა იყო. მამა ფრონტზე წავიდა. დედამ, ანა თევდორეს ასულმა, გულში ჩაიკრა პაწია პირმშო და ძლივს მიაღწია თავის მშობლიურ ქალაქ მოგილიოვამდე.

აქ, მოგილიოვში, აღიზარდა და დავაჟკაცდა მარადი პაპალაშვილი. 1958 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ არმიაში გაიწვიეს. და ისე, როგორც ერთ დროს მამამისი, სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1961 წელს. ამის შემდეგ იგი ბელორუსიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ გარნიზონში მსახურობს. სამხედრო წოდებით ლეიტენანტი, ოჯახური მდგომარეობით კი — უცოლშვილო. აი მისი მოკლე ბიოგრაფია.

თითქმის ორი კვირა დაპყო მარადი

პაპალაშვილმა ქუთაისში. ნახა ყველა ის ადგილი, სადაც მამამისი იზრდებოდა, სწავლობდა და ცხოვრობდა.

დნეპრის ნაპირებზე აღზრდილმა მარადიმ ნახა რიონი, წითელი ხიდი, რომლის ქვეშ მამამისი ცურავდა.

და ახლა რიონის ნაპირებიდან დნეპრის სანაპიროებამდე მისწვდა სიცოცხლის ხმა. მარადიმ დეპეშები გაგზავნა თავისი დედის, თავისი ნაწილის სახელზე. ყველას ამცნო, თუ როგორ ჩაიკრეს იგი გულში. მარადის ნათესავებმაც გაუგზავნეს დეპეშები მარადის დედას, უსურვეს პირადად მისი და მისი შვილის ბედნიერება.

ღირსეულად გაუმასპინძლდნენ მარადის. ანახეს წყალტუბო, სათაფლია, გელათი... მერე უფროსმა მამიდამ. მასწავლებელმა მარო მამრიკაშვილმა მოელ ნათესაობასთან ერთად სოფელ ოფშკვილში თავის ოჯახში მიიპატიჟა.

ყველგან ჩინებული სტუმართმოყვარეობა უწევნეს მარადის, ყველგან შესწა მან სადღეგრძელოები მამისეული ყანწით, თქვა მამამისის, იმ გმირების სამარადისო სადიდებელი, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას, და იმღერა, „მრავალჟამიერ“.

დედამიწაზე სიცოცხლისათვის, მარად და მარად მშვიდობისათვის იმღერა მარადიმ.

Ზ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მარადი პაპალაშვილი თავის მამიდაშვილებსა და ბიძაშვილებს შორის.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲛᲓᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲔᲓᲔᲔᲑᲨᲘ — ᲣᲘᲝᲚᲔᲡᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲪᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔ

არ არის მკვდარი, ვინც მოკკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

ᲘᲚᲘᲐ ᲯᲐᲕᲯᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲔᲚᲛᲐ მეგობრებმა საშა ბედიამ და აკაკი ფარულავამ მთხოვეს სოფელ ლეძაძამეში წავყოლოდი. ისეთი საინტერესო ამბის დამსწრეს გაგხდით, რომ ჯერ არსად გენახოსო.

გზადაგზა გულდასმით დავათვალიერეთ სოფლები — ზხეფი, ძველი სენაკი, ნაჭალაქევი და ბეთლემი, სადაც შალვა დადიანმა თავისი ბავშვობის წლები გაატარა.

— აი ის სოფელი, — წამოიძახა აკაკიმ და ხელი გაიშვირა — უშაფათო! მანქანა გააჩერეთ. ხალხი ამბობს, რომ ტაგუს ამ ფერდობზე ჰქონდა უანაო.

ვიდექით და ვდუმდით. გამახსენდა „მამელუკი“, თვალწინ წარმომიდგენენ

ᲘᲛ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲠᲩᲥᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲐᲕᲗ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 19 თებერვალი. (საკდესი). ინგლისის მთავრობას კვლავ სარჩაროდ გადაწყავს კვიპროსში ჯარის ახალი მაშველი ნაწილები.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მარტო გუშინ ინგლისიდან კვლავ სარჩაროდ კუნძულზე გადასხეს 300 ჯარისკაცი და ოფიცერი, 1600 ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე მზადაა ყოველ წუთს გაემგზავროს კუნძულზე.

ᲞᲐᲜᲘᲙᲐ ᲡᲐᲜ-ᲥᲝᲠᲥᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 თებერვალი. (საკდესი). მიწისძვრის გამო დაშინებულმა სან-ჟორჟის კუნძულის (აზორის კუნძულები) მცხოვრებლებმა გუშინ მოითხოვეს რომ გაიხიზნონ, რადგან ეშინიათ, რომ მათი კუნძული შეიძლება ზღვაში ჩაიძიროს. ამას იუწყება ანგრა-დუ-ეროიზმედან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი.

მიწისძვრაშა ბიძგები, რომლებიც 14 თებერვალს დაწყო, ჯერ სუსტი იყო, ხოლო შემდეგ თანდათანობით გაძლიერდა და სულ ბოლო ბასშორდა. ბევრი სახლი მთლიანად დაინგრა. მსხვერპლი არ არის, კუნძულის მცხოვრებნი ეშინიათ იგრეთვე, რომ მიწისძვრამ შეიძლება „გააღვიძოს“ ვულკანი.

გემებით დაიწყო სან-ჟორჟის კუნძულის 20 ათასი მცხოვრებლის გახიზნვა, თვითმფრინავები, რომლებიც ამ კუნძულზეა ამერიკის ბაზაში, გამზადებულია, რომ დახმარება გაუწიონ სან-ჟორჟის მცხოვრებნ, თუ მიწისძვრა გაძლიერდება.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲛᲓᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲔᲓᲔᲔᲑᲨᲘ — ᲣᲘᲝᲚᲔᲡᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲪᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ — ᲚᲔᲓᲔᲔᲑᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ლევან ხაბურზანია და მისი მეუღლე ეფროსინე.

ფოტო ა.ა. ფარულავასი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲕᲘᲠᲤᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ!

ამ ცოტა ხნის ანძილზე ეს მესამედ გვიხდება გიამბოთ მამაზვილის სოკრატ და მარადი პაპალაშვილების შესახებ.

გასული წლის 22 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა საბჭოთა არმიის რიგითი მებრძოლების მ. აბრამიშვილისა და ი. ჩაბავას წერილი „დნეპრის სანაპიროებზე“. წერილში მოთხრობილი იყო დიდი სამამულო ომის გმირის, ქართველი პარტიზანის სოკრატ ალექსის-ძე პაპალაშვილის სასახელო საქმეები.

ქართველი მებრძოლები წერდნენ, რომ მათს ნაწილში მიიყიდა ყოფილი პარტიზანი გიორგი ანტონის-ძე ხრამოვიჩი, რომელმაც მეომრებს უამბო, თუ რა მამაცურად იბრძოდა და როგორ დაიღუპა ქართველი მებრძოლი სოკრატ პაპალაშვილი.

ამ წერილში მარტოოდენ ს. პაპალაშვილის გმირობაზე როდია ლაპარაკი. მებრძოლები წერენ, თუ რა მიზეზით მოხვდა ხრამოვიჩი მათს ნაწილში.

როგორც წერილიდან ჩანს, ყოფილი პარტიზანი გ. ხრამოვიჩი ხუთი ქალიშვილი ეძებდა თავისი მებრძოლი ერთგული ამხანაგის სოკრატ პაპალაშვილის ნათესავებს.

ბოლოს საბჭოთა ბელორუსიის ქალაქ მოგილიოვში სამისამართო ბიუროს საშუალებით მან მიაკვლია ქართველი კაცის — პაპალაშვილის გვარს.

ხრამოვიჩი შეხვდა და ესაუბრა სოკრატ ალექსის-ძე პაპალაშვილის მეუღლეს, კეთილ ბელორუს ქალს ანა თევდორეს ასულ ზამორინას. გამოირკვა, რომ სოკრატსა და ანას ჰყოლიათ ერთადერთი შვილი — მარადი სოკრატის-ძე პაპალაშვილი, რომელიც ცოცხალია და ჯანსაღად არის. იგი ოფიცერია, სამხედრო სამსახურშია.

და აი ხრამოვიჩი გაემგზავრა იმ ნაწილში, სადაც ახალგაზრდა ოფიცერი მარადი პაპალაშვილი მსახურობს. მან ინახულა თავისი თანამებრძოლის შვილი, ესაუბრა მეომრებს სოკრატ პაპალაშვილის გმირობაზეც და იმაზეც, თუ რა მიზეზით მოხვდა იგი მათს ნაწილში.

ახალგაზრდა ოფიცერი მარადი პაპალაშვილი ოცნებობდა ეთქვა თავისი ნათესავები, გაეგო, სად ცხოვრობდა მამამისი. მან თავისი ხაზინის ქართველ მებრძოლებს, ზეძოხსენებული წერილის ავტორებს გადასცა თავისი მამის ერთადერთი სურათი, რომელიც მარადის სურათთან ერთად დაიბეჭდა „კომუნისტში“.

მამა-შვილია ამ სურათებმა ცნობილი გახადეს ქართველი ხალხის კიდევ ერთი სახელოვანი შვილის ვინაობა.

„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ გასული წლის 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი „რონიდან დნეპრამდე“, რომელშიც მოთხრობილია ნამდვილი ამბავი გმირი პარტიზანი აკვანზე, იბაზე, თუ როგორ გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა სოკრატ პაპალაშვილმა.

როგორც მკითხველებმა იცით, სოკრატ პაპალაშვილი ქუთაისის მკვიდრია. აქედან, რონის ნაპირებიდან წვიდა იგი დნეპრის ნაპირებისაკენ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ქუთაისში ყველა ნათესავმა და ახლობელმა იცოდა, რომ სოკრატს 1940 წელს გაუწყდა მეძკვიდრე, რომელსაც მარადი დაარქვა.

ᲘᲛ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲛᲓᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲔᲓᲔᲔᲑᲨᲘ — ᲣᲘᲝᲚᲔᲡᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲪᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ — ᲚᲔᲓᲔᲔᲑᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ლევან ხაბურზანია და მისი მეუღლე ეფროსინე.

ფოტო ა.ა. ფარულავასი.

ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დალასში რუბის „სასამართლო პროცესზე დაიწყო „ბრძოლა“ ბოლდებასა და დაცვას შორის ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის გამო. დაკითხეს ნაფიცი მსაჯულობის 900 კანდიდატიდან ერთელი კანდიდატი — დალასის მცხოვრები მხატვარი ჰიპლარდ სტოუნი. იგი დაჰკითხა რუბის ადვოკატმა მელვინბეგლიმ. დაკითხვამ ცხადყო, რომ განგტტერისა და მკვლელის დამცველები ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ კი ჩაფშვნონ ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და ამით მიაღწიონ იმას, რომ სასამართლო მეორე ქალაქში გადაიტანონ.

დალასში, იტყობინებიან ამერიკელი კორესპონდენტები, სუფევს ნერვული, დაბაღული ვითარება. გუშინ, როდესაც დალასის სასამართლოს შენობას ორანელი მიადგა სანიტარული ძანქანა, ბევრმა გამელელი მიეარდა შესასვლელს და იკითხა: „რუბი მოჰკლესო?“ გამოირკვა, რომ რუბი ცოცხალია, მაგრამ ერთ-ერთ დამსწრეს სასამართლოს შენობაში გული შეუწყვა. გულდასმით სინჯავენ ყველას, ვინც დარბაზში შედის, სადაც რუბის საქმეს იხილავენ.

ᲑᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 18 თებერვალი. (საკდესი). ქალაქ კი-უესტში (ფლორიდის შტატი) დაიწყო იმ კუბელ მებადურთა „საქმის“ სასამართლო განხილვა, რომლებიც უკანონოდ შეიპყრეს 2 თებერვალს ამერიკის ხომალდებმა მექსიკის ყურეში.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 თებერვალი. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრ დუგლასმუიერის თავმჯდომარეობით გაიმართა ინგლისის კაბინეტის სხდომა, რომელზეც, მომხსენებელმა ხრთ, განხილეს „ყვინთოსის უკანასკნელი ამბები“.

ლონდონის საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ ბრიტანელთა ბატალიონი, რომელიც ამჟამად დასლონერებ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

კამერული ორკესტრის დაბადება

პირველი კონცერტები

რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კამერული ორკესტრის ორი პირველი კონცერტი. ეს იყო ახალი კოლექტივის დებიუტი, თავისებური გამოცდა, პირველი „ნათლობა“...

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით ჩამოყალიბებული კოლექტივი, რომელიც უმთავრესად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისა და ასპირანტებისაგან არის დაკომპლექტებული, ოთხი თვის მანძილზე სისტემატურად ოკრიბებოდა კავშირის პატარა, ვიწრო დარბაზში, რათა ახალგაზრდა მუსიკოსებს ესწავლათ და ემუშავნათ. მათ წინაშე დასმული ამოცანა უაღრესად რთული და პასუხსაგები იყო. კამერული ორკესტრი, კამერული მუსიკა ერთ-ერთი რთული და საინტერესო უანრია. კამერული ორკესტრის თვითეული მუსიკოსი მოწოდებულია იყოს წამყვანი სოლისტი. უველამ ერთად კი მთლიანი, შერწყმული ანსამბლი უნდა შექმნას.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ახალი კამერული ორკესტრი შემდგარია ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ მაღალპროფესიული შემსრულებლებისაგან და რომ ორკესტრში მუშაობის დროს კოლექტივის თვითეულმა წევრმა გამოავლინა ენთუზიაზმი, ხაქმის სიყვარული და ერთგულება, მაშინ ნათელი გახდება პირველივე წარმატების კანონზომიერება.

ეს დასკვნა იმას როდი ნიშნავს, რომ ანსამბლი ახლავე სრულქოფილ მუსიკალურ კოლექტივად ვაღიაროთ. საჭიროა აღინიშნოს, რომ კამერული ორკესტრის ტრადიციები ჩვენში ფაქტიურად ამჟამად ისახება. კოლექტივის წინაშე ერთგვარი მუსიკალური ყამირია. ეს კარგად ესმის ორკესტრის თვითეულ წევრს, მეტადრე კი კოლექტივის მხატვრულ ხელმძღვანელსა და დირიჟორს გივი აზმაიფარაშვილს, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს როგორც ნიჭიერ და თავისი თაგიანდი მომთხოვნ მუსიკოსს.

კამერული ორკესტრის შექმნა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში. ახალგაზრდა კოლექტივმა დიდი და საპატიო ვალდებულება იკისრა — კლასიკური მუსიკის ნიმუშებთან ერთად პროპაგანდა გაუწიოს ქართულ მუსიკას, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებას. გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს საქმე კოლექტივს საჭირო ეროვნულ მისიად მიაჩნია, რომ ეს კოლექტივი ქართული კამერული მუსიკის ნამდვილ შემოქმედებით ლაბორატორიად იქცევა.

ე. მაჭავარიანი.

სურათზე: კამერული ორკესტრის გამოსვლა; დირიჟორი გ. აზმაიფარაშვილი (მარჯვნივ) და ორკესტრის სოლისტი მედეა ამირანაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მკითხველის კალმით

□ გორის საკონსერვო ქარხნის კლუაში მოეწყო შეხვედრა ქარხნის ვეტერან მუშებთან. მათ შრომითს საქმიანობაზე დამსწრეთ ესაუბრა ვეტერანი მუშა ე. წიქარიძე. ამაგდარ მუშებს გულთბილად მიესალმნენ კოქაკავშირელები.

საღამო პარტიაში ლენინური გაწვევის მე-40 წლისთავს მიეძღვნა.

რ. სამადაშვილი.

□ ახალშენში ამავე სოფლის კომკავშირელთა ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა წიგნის ახალი მაღაზია. მას 7 მოწინავე ახალგაზრდა ემსახურება.

მაღაზიაში სისტემატურად მოსდით ახალი ლიტერატურა. დიდი გადაჭარბებით სრულდება ვაჭრობის გეგმები.

ნ. ბაბაიძე.

□ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისცისის სამშობიარო სახლს ღამით ელეცხლი გაუწყდა. იგი თანდათან ძლიერდებოდა. ეს შენიშნა მილიციის უბნის რწმუნებულმა გიორგი ფრიდიანშვილმა, რომელიც შემოვლაზე იმყოფებოდა. მან განგაში ატეხა და შეებრძოლა ცეცხლს. მოქალაქეთა დამარბევით ხანძარი ჩააქრეს.

ხ. შაქარაშვილი.

დაეხმარათ ვერტმფრინავი

ბათუმი. (საკ. კორ.). მკაცრი ზამთარია ხულოს რაიონში. თოვლის სისქემ ორ მეტრს მიაღწია. შეწყდა მიმოსვლა ბათუმთან. დაზიანდა სატელეფონო სადგურიც. ასე იყო ორ დღეს. მესამე დღეს კი რაიონის მშრომელთა უურადღება საპაერო გუგუნმა მიიპყრო — რაიონულ ცენტრს ვერტმფრინავი უახლოვდებოდა. მალე იგი ფეხბურთის მოედანზე დაეშვა. ეს იყო საფოსტო ვერტმფრინავი, რომელმაც ახალი ეურნალ-გაზეთები და ამანათები მოიტანა ბათუმიდან.

აპარის კავშირგაბმულობის საოლქო კანტორამ მოაწყო მაღალმთიანი რაიონებისათვის ფოსტის საპაერო მიწოდება.

საფოსტო ვერტმფრინავის მამაცი ეკიპაჟი ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში ახერხებდა ძვირფასი ტვირთის გადატანას ისეთ შორეულ სოფლებში, როგორიც ხიხაძირი და შუახევია. მფრინავ ა. ხარაბაძესა და მექანიკოს ხ. შავტაიანს არ აშინებდათ დიდი თოვლი და ადვილად ეშვებოდნენ პატარა მოედნებზეც კი. სამანქანე გზების გახსნამდე ვერტმფრინავმა სამ ტონაზე მეტი ტვირთი ჩაიტანა რაიონულ ცენტრსა და შორეულ სოფლებში.

ერთ-ერთი რეისის დროს ვერტმფრინავის ეკიპაჟს შეატყობინეს, რომ სოფელ ჩაის (ხულოს რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორის ა. ცეცხლაძის ავადმყოფ მეუღლეს სისხლის გადასხმა ესაჭიროებოდა. რაიონში კი მისი ჯგუფის სისხლი არ აღმოჩნდა. ავადმყოფის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ვერტმფრინავის ეკიპაჟმა ერთ საათში მოახერხა საჭირო სისხლის ბათუმიდან ჩამოტანა, და ავადმყოფი სიკვდილს გადარჩა.

აგროტექნიკოსები სოფელს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი სოფელს ყოველწლიურად უმზადებს ახალგაზრდა სპეციალისტებს. ამ დღეებში მოხდა მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მეხუთე კურსის მსმენელთა გამოშვება. ისინი საფუძველიანად დაეუფლნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, აგროქიმიას, აგროტექნიკას. პრაქტიკულ წვრთნას გადიოდნენ საცდელ საგურებში, ტექნიკუმის საცდელ-სასწავლო ნაკვეთებზე.

ახალგაზრდა აგროტექნიკოსები სამუშაოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წავიდნენ.

ლატარიის ბილეთებით — ავტომანქანები

ჰიათუარა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს გეოლოგის დამხმარემ — ციალა გაფრინდაშვილმა ამას წინათ ლატარიის ბილეთით მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“. ამავე მაღაროს ცვლის უფროსმა ქეთევან თანდაშვილმა 1963 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის ბილეთით მოიგო ავტომანქანა „ზაპოროუეცი“.

საკავშირო ჯილდო დაიმსახურეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ჭალაქის № 4 ავტოსატრანსპორტო კანტორამ (უფროსი გ. გაბუნია) დიდი გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის დავალება და 79.430 მანეთი მოგება მიიღო. კანტორის კოლექტივმა 106,7 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის იანვრის გეგმაც.

გასული წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა კანტორის კოლექტივი, რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გ. ვასაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული ანესთეზიოლოგიის განყოფილების გამგემ გაიოზ მალავას-ძე ვასაძემ ლენინგრადის ციროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სამხედრო სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ხანგრძლივი ჰიპოთენზიით მიმდინარე შოკისა და სისხლის დაკარგვის მოგვიანებითი სტადიების პათოგენეზისა და მკურნალობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ვასაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

საჭადრაკო მიმოხილვა

ჩინებული სტარტი

• სალო ფლორი •

უკანასკნელ ხანს ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ციგურები, თბილამურები და შაიბა! ყველას გვეჩვენებოდა (ან იქნებ მართლაც ასე იყო), რომ ადამიანებს ძილის, სწავლისა და მუშაობისათვის არ ეცალათ! ყველას გვეჩვენებოდა, რომ 150 საბჭოთა ტურისტთან ერთად მთელი ჩვენი ხალხი გაიძახოდა: სკობლიკოვა, სკობლიკოვა! შაიბა, შაიბა! ბა-რა-ქალა! ბა-რა-ქალა! ცხადია, რომ ასეთი სპორტული აჟიოტაჟის დროს არავის ეცალა პაიკებისათვის, გროსმაისტერებისათვის, ჭადრაკისათვის! მაგრამ ახლა კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა. თეთრ ოლიმპიადის სპორტის გმირები დაგვიბრუნდნენ ნამდვილი და წარმატების მქონე ოკროსმაძიებელთა სასიამოვნო ტვირთით. ახლა შეიძლება ვისაუბროთ სხვა თემებზეც, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზეც, თუ რა კეთდება ჩვენს პატარა სამყაროში — ჭადრაკის სამყაროში.

ჩვენ, მოჭადრაკეებს, თოვლი არ გვესაჭიროება. მაგრამ თოვლი არ გვიშლის. ჩვენ არ გვესაჭიროება მზე, მაგრამ იგი არ გვიშლის. მოჭადრაკეები ყოველგვარ ჰავაში გამოდიან. ამ დღეებში მოსკოვში დაიწყო ზონალური ტურნირი. ქუჩაში ყინვაა, საჭადრაკო დარბაზში კი სიცხე. რადგან შემდგენლობა ძალიან ძლიერია. ორი გროსმაისტერი—ი. ავერბახი და მ. ტალიანოვი—გაფრინდნენ ქვეყნებში, სადაც თოვლი არ იცის, — ინდოეთში.

ჩვენს მოჭადრაკეებზე საზღვარგარეთ ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. გასული წლის ბოლოს მთელი რიგი ჩვენი მოჭადრაკეები, ქალები და კაცები, სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. მ. ბოტვინიკი და მე ჰოლანდიაში ვიყავით. თბილისში ალბათ ახლოვთ მ. ბოტვინიკის გამოსვლა ეკრანებიით. კომენტატორ თ. გიორგაძის შეკითხვაზე, მონაწილეობას მიიღებთ თუ არა მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაშო, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა „ზუსტი“ პასუხი გასცა: შეიძლება ვითამაშო, შეიძლება არაო. ჰოლანდიაშიც ბოტვინიკმა ასეთივე პასუხი გასცა, როცა ამ კითხვით „ვაბაზრეს“. ამსტერდამში გამართულ მცირე ტურნირში ბოტვინიკმა ლაგი შრომის გაუწევლად დაიკავა პირველი ადგილი, ამასთან ამ სტრიქონების ავტორსაც „ეი“ გაუსწრო.

ჰოლანდიაში ძალიან ხშირად გვეკითხებოდნენ, რატომ თქვა უარი ნონა გაფრინდაშვილმა ბევერვიკის ტურნირში მონაწილეობაზეო. როგორც ცნობილია, შარშან ნონამ პირველი ადგილი დაიკავა ქალთა ტურნირში და ახლა უფლება ჰქონდა უკვე მამაკაცთა ტურნირში ეთამაშა. „იქნებ ნონას რაიმე არ მოსწონდა ჰოლანდიაში?“—გვეკითხებოდნენ ბევერვიკის ტურნირის ორგანიზაორები. არა, არა, ყველაფერი ძალიან კარგად იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნონა გაფრინდაშვილსაც კი არ შეეძლო „ერთსა და იმავე დროს ორ ქორწილში ეცეკვა“.

ამშვენებდა მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ დროს ჰასტინგსში ცხოვრობდა მსოფლიოს პირველი უკვდავი ჩემპიონი ქალთა შორის ვერა მენჩიკი. იქ მიიღო მან ჭადრაკის გაკვეთილები უნგრელ გროსმაისტერ გ. მაროციასგან. ახლა კი საჭადრაკო ინგლისი გაეცნო ახალგაზრდა ნონა გაფრინდაშვილს. უნდა ითქვას, რომ ნონამ, როგორც აღნიშნავდა და ახლაც კიდევ აღნიშნავს ინგლისური პრესა, თავისი თამაშით და თავმდაბლობით მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც სხვადასხვა ქვეყნის საჭადრაკო ეურნალები აღნიშნავენ, ნონამ გვიჩვენა და დაამტკიცა, რომ ნიჭითა და თამაშის რეალური ძალით არ ჩამოუვარდება განსვენებულ ვერა მენჩიკს, პირველ და ერთადერთ მოჭადრაკე ქალს, რომელიც წარმატებით ებრძოდა მამაკაცებს.

შესაძლოა, „კომუნისტის“ ყველა მკითხველმა არ იცოდეს, რომ ერთ-ერთ თვისუფალ საღამოს ჰასტინგსში გაიმართა ბლიც-ტურნირი ოსტატების და თვით მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალის მონაწილეობით. ამ სფეროში ტალს ბადალი არა ჰყავს. რა თქმა უნდა, ამ ბლიც-ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა... ტალმა! ასე არ არის? არა, პატივცემულო მკითხველო. პირველი ადგილი დაიკავა... ნონამ! ამასთან მან მოიგო ყველა პარტია, მოუგო მიშა ტალსაც. შესანიშნავია, ხომ!

მიშა ტალი ძალიან გონაბამბავილი ახალგაზრდაა, ძალიან უყვარს ხუმრობა. მაგრამ ნონას ხუმრობა არ მოეწონა და რეკვნში სწყუროდა. მ. ტალმა რეიკიავიკის (ისლანდია) ტურნირზე თანამგზავრად აირჩია ნონა გაფრინდაშვილი. იქ, ისლანდიაში, აიღო ტალმა ნონასაგან რევანში „ჰასტინგსში მიყენებული შეურაცხყოფისათვის“.

საქართველოს მთების ვშილმა თბილისს ძალიან დაშორებულმა ისლანდიის მთებში ცხადყო თავისი ოსტატობა. თავის პრაქტიკაში პირველად შეხვდა ნონა სამ გროსმაისტერს. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტებს. მერე? ნონას მაინცდამაინც დიდი „პატივისცემა“ არ გამოუჩენია მათდამი. „შიშზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ფრედერიკ ოლაფსონთან პარტია მან ყაიმით დაამთავრა. ამასთან ნამდვილ ბრძოლაში, და არა მასპინძლის „ჯენტლმენობის“ გამო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ოლაფსონისათვის აზრი აღარა აქვს „ჯენტლმენის“ როლს ასრულებდეს მოჭადრაკე ქალებთან შეხვედრებისას—ისლანდიელმა გროსმაისტერმა ამ ცოტა ხნის წინათ ცოლი შეირთო. ს. გლეგორიჩთან ნონა გაფრინდაშვილმა ცოტა არ იყოს ზედმეტი სითამამე გამოიჩინა: ყაიმის მიღწევა შეეძლო, მაგრამ მოინდომა მოეგო. ამ აგრესიისათვის დაიხარჯა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალთან წაგება კი არც ისე ძნელია. ამას ბევრნი ახერხებენ. მეტი წილი მოჭადრაკეები მთელ მსოფლიოში. აქ ნონას დანამდვილებით არა აქვს მიზეზი გული გაიტეხოს.

ჰასტინგსისა და რეიკიავიკის დღეებში ჭადრაკის სამყარო გაოცებითა და აღტაცებით ადევნებდა თვალყურს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატის მსვლელობას. ჩვენ ხშირად ვწერთ ოლბერტ ფიშერზე: მის უცნაურობაზე, ჭირვეულობაზე. ზოგჯერ ცუდ ქცევაზე. ყველაფერი ეს ასეა. ყველაფერი სწორია და გაზვიადებული არ არის. მაგრამ როცა ვლაპარაკობთ და ვწერთ ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა ჩემპიონზე, როგორც მოჭადრაკეზე, საბჭოთა მოჭადრაკეებს არაფერი არ ეეჭვებათ. რობერტ ფიშერი შესანიშნავი, დიდი მოჭადრაკეა. ზედიზედ ექვსჯერ გახდა იგი ამერიკის ჩემპიონი. მერე როგორ! ამჯერად ყველა პარტია მოიგო. ბობბის 11 ქულა შეაგროვა 11 შესაძლებლიდან! შეიანშნავია! საჭიროა აღინიშნოთ, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ რეშევსკი, ბენკო, ბრინი, ევანსი, ბისჰა